სს ემერჯენსი სერვისი

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1
სრული შემოსავლის ანგარიშგება 2
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია 5
2. მომზადების საფუძველი 5
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები 5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები 18
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 20
6. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები 20
7. ძირითადი საშუალებები 20
8. კრედიტორული დავალიანება 21
9. ნასესხები სახსრები 21
10. პირობითი ვალდებულებები 21
11. საკუთარი კაპიტალი 22
12. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან 22
13. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება 22
14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი 22
15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები 23
16. კაპიტალის მართვა 23
17. რისკის მართვა 23
18. სამართლიანი ღირებულების შეფასება 29
19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან 31

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშ-ვნები	*31 დეკემბერი, 2020 წ.*	*31 დეკემბერი, 2019 წ.*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	177	81
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	6	3,052	2,496
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		86	59
გადახდილი ავანსები		65	320
ძირითადი საშუალებები	7	1,896	2,220
არამატერიალური აქტივები		2	2
სხვა აქტივები		23	43
სულ აქტივები		**5,301**	**5,221**
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები		88	143
კრედიტორული დავალიანება	8	1,747	2,116
ნასესხები სახსრები	9	1,164	1,122
სხვა ვალდებულებები		217	222
სულ ვალდებულებები		**3,216**	**3,603**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	18	18
გაუნაწილებელი მოგება		2,067	1,600
სულ კაპიტალი		**2,085**	**1,618**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**5,301**	**5,221**

1-31 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა სს „ემერჯენსი სერვისის” დირექტორთა საბჭოს მიერ 2021 წლის 20 სექტემბერს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი გოგია ფინანსური დირექტორი

20 სექტემბერი, 2021 წ.

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშ-ვნები	*31 დეკემბერი, 2020 წ.*	*31 დეკემბერი, 2019 წ.*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	177	81
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	6	3,052	2,496
სასაქონლო-მატერიალური მარაგები		86	59
გადახდილი ავანსები		65	320
ძირითადი საშუალებები	7	1,896	2,220
არამატერიალური აქტივები		2	2
სხვა აქტივები		23	43
სულ აქტივები		**5,301**	**5,221**
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები		88	143
კრედიტორული დავალიანება	8	1,747	2,116
ნასესხები სახსრები	9	1,164	1,122
სხვა ვალდებულებები		217	222
სულ ვალდებულებები		**3,216**	**3,603**
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	11	18	18
გაუნაწილებელი მოგება		2,067	1,600
სულ კაპიტალი		**2,085**	**1,618**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**5,301**	**5,221**

1-31 გვერდებზე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა სს „ემერჯენსი სერვისის” დირექტორთა საბჭოს მიერ 2021 წლის 20 სექტემბერს და ხელმოწერილია შემდეგი პირების მიერ:

ირაკლი გოგია ფინანსური დირექტორი

20 სექტემბერი, 2021 წ.

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

სრული შემოსავლის ანგარიშგება
31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ-ვნები	*2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*	*2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	12	6,424	6,224
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	13	(4,189)	(4,646)
საერთო მოგება		**2,235**	**1,578**
სხვა საოპერაციო შემოსავალი		28	21
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	14	(179)	(92)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(327)	(328)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშებისა და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება		(56)	(67)
სხვა საოპერაციო ხარჯები		(700)	(392)
		(1,262)	**(879)**
შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე		**1,001**	**720**
ცვეთა და ამორტიზაცია	7	(398)	(344)
საპროცენტო ხარჯი		(109)	(76)
წმინდა არარეგულარული შემოსავალი/(ხარჯი)		(27)	354
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**467**	**654**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**467**	**654**

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	*საწესდებო კაპიტალი*	*გაუნაწილე-ბელი მოგება*	*სულ*
31 დეკემბერი, 2018 წ.		**18**	**946**	**964**
წლის მოგება		–	654	654
31 დეკემბერი, 2019 წ.		**18**	**1,600**	**1,618**
წლის მოგება		–	467	467
31 დეკემბერი, 2020 წ.		**18**	**2,067**	**2,085**

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნები	*2020*	*2019*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი		4,501	5,726
ჯანდაცვის მომსახურების გადახდილი თვითღირებულება		(4,000)	(282)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(54)	(3,102)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(283)	(1,125)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი		18	20
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		**182**	**1,237**
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(86)	(303)
შვილობილი კომპანიების შესყიდვა		-	(877)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		**(86)**	**(1,180)**
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		**96**	**57**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	5	**81**	**24**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	5	**177**	**81**

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. ზოგადი ინფორმაცია

სს „ემერჯენსი სერვისი“ (სახელწოდება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - „შპს კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი“, შემდგომში „კომპანია“) არის 2013 წლის 18 ივნისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია ლუბლიანას ქ. №13/6, ქ. თბილისი, საქართველო. კომპანია სასწრაფო სამედიცინო მომსახურებას უწევს მომხმარებლებს.

2019 წელს, კომპანიამ ინდივიდუალური ინვესტორებისგან შეისყიდა სს „ემერჯენსი სერვისის“ აქციების 100%. მშობელი კომპანიის გადაწყვეტილებით, შესყიდული კომპანია შეერწყა შპს „კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრს“ და გაერთიანებული კომპანიას შპს „კატასტროფის მედიცინის პედიატრიული ცენტრი“ ეწოდა. მოგვიანებით ამ კომპანიას შეეცვალა დასახელება, ასევე იურიდიული ფორმა და გახდა სს „ემერჯენსი სერვისი“.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 85%-იანი წილის მფლობელი იყო სს „ევექსის ჰოსპიტლები“(2019 წელს 85%, 2019 წლის პირველ ნახევარში სს „სამედიცინო კორპორაცია ევექსს“ შეეცვალა სახელი და გახდა სს „ევექსის ჰოსპიტლები“) (შემდგომში „მშობელი კომპანია“), 7.5%-ის მფლობელი იყო ფიზიკური პირი ქეთევან გვენცაძე, ხოლო დანარჩენი 7.5%-ის მფლობელი - ფიზიკური პირი თამარ ვაშაკიძე.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) და ფასს-ის ინტერპრეტაციების კომიტეტის (შემდგომში „ფაისკ“) ინტერპრეტაციების შესაბამისად. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, ძირითად საშუალებებად კლასიფიცირებული საავადმყოფოებისა და კლინიკების და სამართლიანი ღირებულებით შეფასებული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გარდა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამე მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან, მიმდინარე ანგარიშებისგან და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვს ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალია სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. ჯანდაცვიდან მისაღები ანგარიშების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში. სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშების გადახდის ვადას წარმოადგენს 30 დღე ანგარიშფაქტურების დამტკიცების მომენტიდან. საქართველოს კანონმდებლობით, ანგარიშფაქტურის გადახედვისა და დამტკიცების პროცესს დაახლოებით 60 სამუშაო დღე სჭრიდება. გადახდის ვადებზე მოლაპარაკება მხარეებთან, სახელმწიფოს გარდა, ცალ-ცალკე ხდება და 30-180 კალენდარულ დღეს შეადგენს.

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მოქმედების არეალში მოქცეული ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება როგორც სამართლიანი ღირებულებით შეფასებულად ან როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულად, რომელიც უფრო მართებულია. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას.

ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე.

სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ ინვესტიციების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოდგენს ინვესტიციის შესაძენად გადახდილი საზღაურის სამართლიან ღირებულებას. ინვესტიციის თვითღირებულებაში შედის მის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ინვესტიციები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის სამართავად კომპანია იყენებს სავალუტო ოფციონებს და ფორვარდულ კონტრაქტებს. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება სამართლიანი ღირებულებით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება აქტივებად, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და ვალდებულებებად, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. წარმოებული კონტრაქტებიდან გამომდინარე შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობის / (ზარალის) ნაწილში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული

კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად,

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები (გაგრძელება)

ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან კოლექტიურად აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება კოლექტიურად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების კოლექტიურად შეფასების პროცესში.

თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შემობრუნების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემობრუნების თარიღისთვის. უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არც გადაუცია და არც შეუნარჩუნებია აქტივის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება ამ აქტივში მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერგაქვითვის ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი. შემოსავლისა და ხარჯის ურთიერთგადაფარვა მოგებაში ან ზარალში არ მოხდება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ მოუხდენია თავისი აქტივებისა და ვალდებულებები, ან შემოსავლისა და ხარჯების ურთიერთგადაფარვა.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

საანგარიშგებო თარიღისთვის კომპანია გადააფასებს თავის წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება წარმოდგენილია მე-18 შენიშვნაში. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

მთავარი ან ყველაზე სახარბიელო ბაზარი კომპანიისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივს საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

ძირითადი საშუალებები

ნებაყოფლობითი ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. ძირითადი საშუალებების თვითღირებულებით აღრიცხული კლასების საბალანსო ღირებულების გადახედვა ხდება გადაფასებასთან მიმართებით, როდესაც გარკვეული მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები იმაზე მიანიშნებს, რომ საბალანსო ღირებულების აღდგენა შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
ავეჯი და მოწყობილობები	5-10
სამედიცინო აღჭურვილობა	5-10
კომპიუტერები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

დაუსრულებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის შესაბამისად განაწილებული პირდაპირი ცვლადი ხარჯები და ფიქსირებული ზედნადები ხარჯები, რომლებიც საჭიროა ხელმძღვანელობის მიერ აქტივის მიზნობრივი დანიშნულებით გამოსაყენებლად საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება მაშინ, როდესაც აქტივები ექსპლუატაციისთვის მზად არის.

საიჯარო ქონების გაუმჯობესებების ცვეთა ხდება ათი წლის განმავლობაში ან შესაბამისი საიჯარო აქტივის მთლიანი ვადის განმავლობაში, თუ ეს უკანასკნელი უფრო ხანმოკლეა. აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სამედიცინო და არასამედიცინო მარაგებს და ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრები თავდაპირველად აღიარებულია მიღებული საზღაურის სამართლიანი ღირებულებით, რასაც აკლდება პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯები. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, ნასესხები სახსრების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტისას, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები მოიცავს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებულ საპროცენტო ხარჯსა და უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხებით გამოწვეულ საკურსო სხვაობებს იმდენად, რამდენადაც ისინი ითვლება საპროცენტო ხარჯების კორექტირებად. ისეთი აქტივის შეძენისთვის, აგებისა თუ წარმოებისთვის უშუალოდ მიკუთვნებადი სესხის მიღების ხარჯები, რომლის მიზნობრივი მოხმარებისთვის ან რეალიზაციისთვის მომზადებასაც საკმაოდ დიდი დრო სჭირდება, კაპიტალიზდება, როგორც ამ აქტივის ღირებულების ნაწილი. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა სახვა დანახარჯი დადგომისთანავე გატარდება წლის ხარჯად. სესხის მიღების ხარჯი შედგება პროცენტისგან და სხვა ხარჯებისგან, რომლებსაც საწარმო გაიღებს სესხის მიღებასთან დაკავშირებით.

გადასახადით დაბეგვრა

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადასახადით დაბეგვრა (გაგრძელება)

ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

გადავადებული საგადასახადო აქტივი აღირიცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია დასაბეგრი მოგების მიღება, საიდანაც შესაძლებელი იქნება გამოსაქვითი დროებითი სხვაობების გაქვითვა. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები აღირიცხება საგადასახადო განაკვეთებით, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულების დაფარვის წელს იმ განაკვეთებზე დაყრდნობით, რომლებიც მოქმედებდა ან ამოქმედდა ანგარიშგების დღეს. გადავადებული მოგების გადასახადი წარმოდგენილია დროებით სხვაობებზე, რომლებიც წარმოიშობა ინვესტიციებიდან შვილობილ კომპანიებში, მეკავშირე და ერთობლივ საწარმოებში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესაძლოა გაკონტროლებულ იქნას დროებითი სხვაობის აღდგენის დრო და ახლო მომავალში მათი აღდგენა არ არის მოსალოდნელი. საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები შესულია ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს.

ცალკეული არამატერიალური აქტივი პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილი არამატერიალური აქტივის ღირებულება წარმოადგენს მის სამართლიან ღირებულებას შესყიდვის თარიღისათვის. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია სასარგებლო მომსახურების ოთხიდან ათ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. კომპიუტერული პროგრამების მართვასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნის ხარჯების (დაკავშირებული ახალი, მნიშვნელოვნად გაუმჯობესებული პროგრამული უზრუნველყოფის ტესტირებასა და დიზაინთან) აღიარება არამატერიალურ აქტივად მხოლოდ მაშინ ხდება, როდესაც კომპანიას აქვს ამ პროცესის ბოლომდე მიყვანის სურვილი და ტექნიკური უნარი იმ მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება, აგრეთვე აქტივს შეეძლოს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანა განვითარების ხარჯების გათვალისწინებით, ასევე უნდა არსებობდეს რესურსები პროცესის ბოლომდე მიყვანისთვის და შესაძლებელი იყოს განვითარების ხარჯების სანდოდ შეფასება. პროგრამული უზრუნველყოფის შექმნაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

სარეზერვო და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენების გამო აქვს მიმდინარე თუ პრაქტიკიდან გამომდინარე ვალდებულება და მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება ვალდებულების დასაფარად. ასევე, შესაძლებელია ვალდებულების თანხის სანდოდ განსაზღვრა.

თუ კომპანია მოელის ანარიცხების ანაზღაურებას, ანაზღაურების აღიარება ხდება აქტივის სახით, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი მიღება ფაქტობრივად გადაწყვეტილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების გარიგებები

კომპანიის წამყვანი ხელმძღვანელობა ანაზღაურებას იღებს წილობრივი ინსტრუმენტებით, რა შემთხვევაშიც თანამშრომლები მომსახურებას სწევენ საქართველოს ჯანდაცვის კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტების სანაცვლოდ. საქართველოს ჯანდაცვის კომპანიის მიერ გამოცხადებული წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების სქემა წარმოდგენილია წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გადახდის გარიგებებით.

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია საკუთარ კაპიტალად. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია საკუთარი კაპიტალის შემოსავლებიდან გამოქვითვების სახით. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი სამართლიანი ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება საკუთარი კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების სავარაუდო შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები მოგებაში ან ზარალში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

კომპანია შემოსავლებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის მომხმარებლისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ.

კომპანიის მიერ კლიენტებისთვის გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მოთხოვნა კმაყოფილდება დროთა განმავლობაში, თუ მომხმარებელი ერთდროულად იღებს და მოიხმარს კომპანიისგან მიღებულ სარგებელს. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები საზღაურის სამართლიან ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სახელმწიფოსგან - კომპანია სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაჰენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებისგან - კომპანია სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაჰენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემოსავლის და ხარჯის აღიარება (გაგრძელება)

- ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის შედეგად მიღებული და სხვა შემოსავალი - კომპანია თანაგადახდიდან მიღებულ და სხვა შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კომპანიის მიერ დამტკიცებული ფასების შესაბამისად. გაყიდვებიდან შემოსავალი მიიღება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით. სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული სხვა შემოსავალი მოიცავს შემოსავალს მუნიციპალიტეტებიდან და სხვა საავადმყოფოებიდან, რომლებთანაც კომპანია სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაიწია მომსახურება და იანგარიშება სახელშეკრულებო ტარიფების მიხედვით.

შემოსავალი წარმოდგენილია კორექტირებების და ფასდაკლებების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც კონტრაჰენტებთან (ძირითადად, სახელმწიფოსთან) დეტალური ანგარიშების შეჯერების შედეგად წარმოიშვება. ანგარიშფაქტურების მოსალოდნელი კორექტირებები ფასდება კონტრაქტის დასაწყისშივე. პოტენციური მომავალი კორექტირებებისა და ფასდაკლებების შეფასება ხდება სტატისტიკურად საშუალო კორექტირების განაკვეთის საფუძველზე, რომელიც გამოიყენება იმ ანგარიშფაქტურების მთლიანი ოდენობების მიმართ, რომლებიც საანგარიშგებო თარიღისთვის არ არის დამტკიცებული სახელმწიფოს მიერ. კომპანიის მთლიანი შემოსავალი (კორექტირებებისა და ფასდაკლებების გამოქვითვამდე) ეყრდნობა ოფიციალურ ანგარიშფაქტურებს, რომლებიც წარდგენილია მომხმარებლებისთვის და ოფიციალურად მიღებულია მათ მიერ (სახელმწიფო, სადაზღვევო კომპანიები, პროვაიდერი კლინიკები და ფიზიკური პირები), და დანარიცხებს გაწეულ მომსახურებაზე, რომლებისთვისაც ანგარიშფაქტურები ჯერ არ გამოწერილა.

ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალური მომსახურებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA)

სრული შემოსავლის ანგარიშგებაში კომპანია ცალკე წარმოადგენს შემოსავალს პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე. შემოსავალი პროცენტის, გადასახადების, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე განისაზღვრება, როგორც კომპანიის მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გათვალისწინებამდე, მაგრამ არ შეიცავს შემდეგ მუხლებს: ცვეთა და ამორტიზაცია, საპროცენტო

შემოსავალი პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე (EBITDA) (გაგრძელება)

შემოსავალი, საპროცენტო ხარჯი, წმინდა ზარალი სავალუტო ოპერაციებიდან და წმინდა არარეგულარული (ხარჯი)/შემოსავალი.

წმინდა არარეგულარული (ხარჯი) / შემოსავალი

კომპანია ცალკე ახდენს არარეგულარული ხასიათის შემოსავლისა და ხარჯების კლასიფიცირებასა და გაცხადებას. არარეგულარული ხასიათისა შეიძლება ნებისმიერი ტიპის შემოსავალი ან ხარჯი იყოს. კომპანია არარეგულარულ შემოსავალს ან ხარჯს განსაზღვრავს, როგორც უჩვეულო ეკონომიკური, ბიზნესის ან ფინანსური მოვლენის შედეგად განპირობებულ ან მისგან გამომდინარე შემოსავალს ან ხარჯს, რომელიც არ არის კომპანიის ჩვეულებრივი და რეგულარული საქმიანობისთვის დამახასიათებელი და გამოწვეულია წინასწარ გაურკვეველი და არაპროგნოზირებადი გარე ფაქტორებით.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა და კომპანიის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის კონვერტაცია (გაგრძელება)

ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული შემოსულობა და ზარალი აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და ოპერაციის დღეს სებ-ის გაცვლით კურსს შორის სხვაობები მოგებაში ან ზარალში ასახულია სავალუტო ოპერაციებიდან მიღებულ წმინდა ზარალში. სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად, იყო 3.2766 და 2.8677 ლარი 1 აშშ დოლართან მიმართებით.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნებს კლასიფიკაციის გამოყენებისას არ მოუხდენია მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე ან კაპიტალზე. კომპანია აგრძელებს ყველა ფინანსური აქტივისა და ვალდებულების ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვას, გარდა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისა და შესყიდულ წილებში გადასახდელი თანხებისა, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით ფასდება. ეს აქტივები და ვალდებულებები მოიცავს: ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს, ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღებ ანგარიშებს, გაცემულ/მიღებულ სესხებს, ნასესხებ სახსრებს, გამოცემულ სავალო ფასიან ქაღალდებსა და კრედიტორული დავალიანებებს. სესხებსა და მისაღებ ანგარიშებს კომპანია ფლობს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მიღების მიზნით და მოსალოდნელია, რომ ისინი წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის დაფარვასთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. კომპანიამ გააანალიზა ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადები და დაასკვნა, რომ ეს ინსტრუმენტები აკმაყოფილებს ფასს 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. შესაბამისად, საჭირო არ არის ამ ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია.

(ბ) გაუფასურება

ფასს 9-ის მიხედვით, კომპანიას ევალება მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების აღრიცხვა თავის ყველა სავალო ფასიან ქაღალდზე, სესხებსა და მისაღებ ანგარიშებზე, 12 თვიანი პერიოდისთვის ან მათი მთლიანი ვადისთვის. კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და აღრიცხავს ყველა დებიტორულ ანგარიშზე,

სესხზე და სახელშეკრულებო აქტივებზე მოსალოდნელ ზარალს მათი მთლიანი ვადის განმავლობაში. გაუფასურების ახალი მეთოდოლოგიის მიღებამ ძირითადად იმოქმედა ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები თანხების რეზერვზე.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

აღნიშნული ფინანსური აქტივების მოკლევადიანი და ლიკვიდური ბუნებიდან გამომდინარე, კომპანიამ შეაფასა და არაარსებითად მიიჩნია შესაბამისი საკრედიტო ზარალი. ამიტომ, ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების შემთხვევაში, გაუფასურება ფასს 9-ის შესაბამისად არ აღიარებულა.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები თანხები

ფასს 9-ის შესაბამისად გამარტივებული გაუფასურების მიდგომის გამოყენებისას, კომპანიამ გამოიყენა შეფასების სამი სხვადასხვა მეთოდი დებიტორული დავალიანების ტიპის მიხედვით:

1. ინდივიდუალური შეფასება სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშებისთვის;
2. ინდივიდუალური შეფასება ყველა სხვა არსებითი დებიტორული დავალიანებისთვის (რომელთა ნაშთი 5 ათას ლარს აღემატება); და
3. ერთობლივი (კოლექტიური) შეფასება ყველა სხვა დებიტორული დავალიანებისთვის. საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებები ერთიანდება სხვადასხვა პორტფელში კოლექტიური შეფასების მიზნით. კომპანიამ გამოავლინა პორტფელების შემდეგი ძირითადი ტიპები (რომელთა ნაშთი 5 ათას ლარზე ნაკლებია): ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები თანხები (ძირითადად ფიზიკური პირებისგან მისაღები თანხები), ქირიდან მისაღები თანხები და სხვა დებიტორული დავალიანება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ბ) გაუფასურება (გაგრძელება)

მთავრობისგან მისაღები ანგარიშები

სს“ემერჯენსი სერვისი“ მონაწილეობს საქართველოს სახელმწიფო დაზღვევის პროგრამაში - „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა“. შედეგად, ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების მნიშვნელოვანი ნაწილის (დაახლოებით 70%) გადახდაზე პასუხისმგებელია საქართველოს მთავრობა და მუნიციპალური ორგანოები. მთავრობისგან მისაღებ ანგარიშებს გააჩნიათ უნიკალური საკრედიტო მახასიათებლები, რომლებიც განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო მახასიათებლებისგან, რომლებსაც კომპანია დღესდღეობით ფლობს. აღნიშნული ფაქტისა და შესაბამისი ნაშთის არსებითობის გათვალისწინებით, კომპანიამ დაასკვნა, რომ მთავრობისგან მისაღები ანგარიშების გაუფასურების საკითხი განხილულ უნდა იქნას ინდივიდუალურად, ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტისგან დამოუკიდებლად.

კომპანია იყენებს ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ გამოქვეყნებულ საკრედიტო რეიტინგებს, როგორიცაა „Standard & Poor“ ან „Moody“, სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშების საკრედიტო ხარისხის შეფასების მიზნით. მსგავსად აღნიშნულისა, ამავე საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების თანახმად საქართველოსთვის მინიჭებული საკრედიტო რეიტინგის შესაბამის კატეგორიაში დეფოლტის ალბათობა გამოიყენება, როგორც გონივრული ვარაუდი მთავრობისგან მისაღები ანგარიშების დეფოლტის ალბათობასთან დაკავშირებით. მთავრობისგან მისაღები ანგარიშებისთვის დეფოლტის ალბათობა განისაზღვრა ქვეყნის რისკის რეიტინგის საფუძველზე. კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის თავიდან გადააფასებს გაუფასურების გამოთვლებში გამოყენებული დეფოლტის ალბათობის განაკვეთს.

ინდივიდუალურად შეფასებული დებიტორები

იმ მოვალეების შემთხვევაში, რომელთაგან მისაღები ანგარიშების ნაშთი 50 ათას ლარს აღემატება, კომპანია თითოეულ შემთხვევას ინდივიდუალურად განიხილავს და მხედველობაში იღებს სხვადასხვა ფაქტორებსა და ინდივიდუალურ გარემოებებს. აღნიშნული პროცესი ორი ძირითადი ეტაპისგან შედგება:

1) კონტრაჰენტის ფინანსური მდგომარეობა ფასდება შემდეგ ფაქტორებზე დაყრდნობით: ა) ფინანსური შედეგები და თანაფარდობა (სადაც შესაძლებელია); ბ) კომპანიისთვის მისაღები ანგარიშების გადახდის ვადაგადაცილების დღეების საშუალო რაოდენობა; და გ) კომპანიისთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი სხვა არაფინანსური ინფორმაცია, როგორიცაა ნებისმიერი სიახლე იმ საბაზრო სექტორთან დაკავშირებით, რომელშიც მოქმედებს კონკრეტული მოვალე, ინფორმაცია ხელმძღვანელობის შესახებ და ა. შ.
2) აღნიშნული ანალიზის საფუძველზე კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს კონტრაჰენტის კატეგორიზაციას საკრედიტო რისკის შეფასების მიზნით და გადაჰყავს კოლექტიურ შეფასებაზე. თითოეულ საკრედიტო კატეგორიას მინიჭებული აქვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მაჩვენებელი, რომელიც განისაზღვრება გამოცდილების, ხელმძღვანელობის პროფესიული განსჯისა და სამომავლო მოლოდინების საფუძველზე. შეფასება ხორციელდება კვარტალურად. პროცესში ასევე ხორციელდება მაკრო-კორექტირებები რეგრესიის შედეგებსა და მშპ-ის ზრდაზე დამოკიდებულების ფაქტორის შესაბამისად. ამ მოდელში ფინანსური კოეფიციენტების განახლება ხდება ყოველწლიურად, მას შემდეგ, რაც/თუ გამოქვეყნდება კონტრაჰენტის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება, ხოლო ვადაგადაცილების დღეების საშუალო რაოდენობა, არაფინანსური ინფორმაცია და სამომავლო მოლოდინები გადაიხედება ყოველთვიურად.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)

(ბ) გაუფასურება (გაგრძელება)

კოლექტიური შეფასება

ფასს 9-ის შესაბამისად სადაზღვევო კომპანიებისგან და სხვა მსხვილი კონტრაჰენტებისგან მისაღები ანგარიშების გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, მოვალეების პორტფელები გადანაწილებულია სხვადასხვა რისკების კალათებში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის საფუძველზე. ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენისთვის 180-დღიანი გამიჯვნის ვადის დაწესებით, კომპანიამ მხედველობაში მიიღო სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა მსხვილი კონტრაჰენტების რეალური გადახდების ისტორია. სამიდან ექვს თვემდე ვადაგადაცილება საკმაოდ ხშირი იყო კრედიტუნარიანი კონტრაჰენტების შემთხვევაში, ხოლო ექვს თვეზე მეტი ვადით ვადაგადაცილება გადახდების ისტორიაში უკვე ფინანსურ პრობლემებზე მიუთითებდა. სტატისტიკური მონაცემები ეყრდნობოდა კომპანიის შიდა მონაცემებს. შეიქმნა ხუთი ცალკეული რისკების კალათა:

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	კატეგორია	აღწერა
0-30	AA	ძალიან კარგი
31-60	A	კარგი
61-90	B	ნორმალური
91-180	C	ცუდი
181+	D	ვალდებულების შეუსრულებლობა

რაც შეეხება ფიზიკური პირებისა და სხვა მცირე კონტრაჰენტებისგან მისაღები ანგარიშების გაუფასურების კოლექტიურ შეფასებას, კომაპნიას აქვს ხუთი ცალკეული რისკების კალათა:

ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა	კატეგორია	აღწერა
0-29	A	კარგი
30-59	B	ნორმალური
60-89	C	ცუდი
90+	D	ვალდებულების შეუსრულებლობა

ფასს 9 საწარმოს უფლებას აძლევს, მოსალოდნელი ზარალის გამოთვლისას გამოიყენოს პრაქტიკული

ხასიათის გამარტივებული მიდგომა - „ანარიცხების (რეზერვების) მატრიცები“ (მაგ. დებიტორული ანგარიშებისთვის), თუ იგი შეესაბამება მოსალოდნელი ზარალის შეფასების ზოგად პრინციპებს. თუმცა, ფასს 9 ასევე მოითხოვს საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) ინფორმაციის გამოყენებას საწარმოს გაუფასურების აღიარების სქემაში. კომპანიამ მიიღო გადაწყვეტილება გამოიყენოს ეს ვარიანტი - ანარიცხების მატრიცები - გაუფასურების კოლექტიური შეფასების შემთხვევაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების პროცესში. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანიამ გამოიყენა გამარტივებული მიდგომა დებიტორული დავალიანებისთვის და პირდაპირ განიხილავს ზარალს აქტივის არსებობის მანძილზე მთელი პორტფელისთვის, ანუ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აქტივის არსებობის მანძილზე აღიარებული იქნება მთლიან პორტფელზე, იმისდა მიუხედავად, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოხდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. კატეგორიების მიხედვით ვალდებულებების ალბათობის განსასაზღვრად გამოყენებულ იქნა მიგრაციის მატრიცა. ვალდებულების შეუსრულებლობის მომენტისთვის კრედიტის ოდენობა განისაზღვრა, როგორც დებიტორის კრედიტის ოდენობის გადასახდელი ნაშთი.

საპროგნოზო კომპონენტი

ანალიზში კომპანიამ ასევე ჩართო მაკროეკონომიკური საპროგნოზო ინფორმაცია, რათა განესაზღვრა დაკორექტირებული დეფოლტის ალბათობა კატეგორიების მიხედვით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ დებიტორები ძირითადად წარმოადგენენ ფიზიკურ პირებს ან მცირე საწარმოებს საქართველოს

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

(ბ) გაუფასურება (გაგრძელება)

სხვადასხვა რეგიონებიდან, კომპანიას მიაჩნია, რომ ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლების გამოყენება მართებულია მთელი ქვეყნის მასშტაბით მცირე მოვალეების მოსალოდნელი ეფექტიანობის შეფასებისას. თავად რეალური მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი შეფასდა, როგორც მაკრო-ეკონომიკური მაჩვენებელი შემდეგი ორი არგუმენტის საფუძველზე:

1) მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ეკონომიკის ეფექტიანობის ერთადერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მაჩვენებელია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მოქალაქეებისა და მცირე საწარმოების ფაქტობრივ კეთილდღეობასთან; და

2) მშპ-ის ზრდის მაჩვენებელი ადვილად მოსაპოვებელი მონაცემია; მასთან დაკავშირებით არსებობს როგორც თანმიმდევრული ისტორიული ჩანაწერები, ისე სახელმწიფოს პროგნოზები მომდევნო წლებისთვის, რაც იძლევა ამ მონაცემების გამოყენების შესაძლებლობას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელირებაში. კომპანიამ შეაფასა ბოლო ორი წლის მშპ-ის ზრდის ტემპის რეგრესიის კოეფიციენტი გაუფასურების განაკვეთებთან მიმართებით (იგივეა, რაც დეფოლტის ალბათობა, დეფოლტის შემთხვევაში 100%-იანი დანაკარგების დაშვებით) და დაადგინა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი დამოკიდებულების კოეფიციენტი.

ჩამოწერის პოლიტიკა

კომპანია ფინანსურ აქტივებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც წინასწარ განსაზღვრულ მაჩვენებლებზე დაყრდნობით დაასკვნის, რომ მათი ამოღების გონივრული მოლოდინი აღარ არსებობს. ეს მაჩვენებლებია კონტრაჰენტის გაკოტრება, სასამართლო გადაწყვეტილება ან ორ წელზე მეტი ხნით ვადაგადაცილება. კომპანია აგრძელებს ნებისმიერი დებიტორული დავალიანების ამოღებას, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით არ არის მიჩნეული უიმედოდ, მიუხედავად ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობისა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ხანდაზმულობის ვადის გამო კომპანიას არ შეუძლია დებიტორული დავალიანების ამოღება, თუ გასულია სამი წელი კონტრაჰენტისთვის გაგზავნილი ბოლო წერილობითი შეხსენების თარიღიდან.

კომპანია ფინანსურ ვალდებულებებს ჩამოწერს მაშინ, როდესაც გადის მათი ხანდაზმულობის ვადა. ასეთი ჩამოწერების აღიარება ხდება სხვა საოპერაციო შემოსავალში.

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

კომპანიისთვის აქტუალური სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის, მოცემულია ქვემოთ. კომპანიას ვადაზე ადრე არ მიუღია ისეთი სტანდარტი, ინტერპრეტაცია თუ ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ჯერ ძალაში არ არის შესული. 2020 წელს რამდენიმე სხვა ცვლილება და ინტერპრეტაცია მოქმედებს პირველად, მაგრამ გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ცვლილებები ფასს (IFRS) 3-ში: „საწარმოს განმარტება“
- ცვლილებები ფასს (IFRS) 7-ში, ფასს (IFRS) 9-ში და ბასს (IAS) 39-ში „საორიენტაციო საპროცენტო განაკვეთის შესწორება“
- ცვლილებები ბასს (IAS) 1-სა და ბასს (IAS) 8-ში: „ტერმინ „არსებითის“ განმარტება“
- ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, გამოშვებული 2018 წლის 29 მარტს
- ცვლილებები ფასს (IFRS) 16-ში „კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა“

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის მდგომარეობით ჯერ ძალაში არ შესულა, მოცემულია ქვემოთ. კომპანია ამ ახალი და შეცვლილი სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას აპირებს მათი ძალაში შესვლისთანავე.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფასს (IFRS) 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

2017 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ფასს 17 „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 17), ამომწურავი ახალი სააღრიცხვო სტანდარტი სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც მოიცავს აღიარების და შეფასების, წარდგენისა და ინფორმაციის გახსნის საკითხებს. ძალაში შესვლის შემდეგ ფასს 17 ჩაანაცვლებს ფასს 4-ს „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ (ფასს 4) რომელიც გამოიცა 2005 წელს. ფასს 17 ეხება ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებას (მაგ. სიცოცხლის, არასიცოცხლის, პირდაპირი დაზღვევა და გადაზღვევა), განურჩევლად იმისა, თუ რა ტიპი საწარმო აფორმებს მათ, ასევე გარკვეულ გარანტიებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს დისკრეციული მონაწილეობის პარამეტრებით. მის მოქმედების არეალში არ შედის გარკვეული გამონაკლისები. ფასს 17-ის ზოგადი მიზანია სააღრიცხვო მოდელის შექმნა სადაზღვევო ხელშეკრულებები, რომელიც უფრო სასარგებლო და თანმიმდევრული იქნება მზღვეველებისთვის. ფასს 4-ის მოთხოვნებისგან განსხვავებით, რომლებისგანაც მანამდე მოქმედი ადგილობრივი სააღრიცხვო პოლიტიკები მეტწილად გათავისუფლებულია, ფასს 17 წარმოადგენს კომპლექსურ მოდელს სადაზღვევო ხელშეკრულებებისთვის, რომელიც ბუღალტრული აღრიცხვის ყველა შესაბამის ასპექტს მოიცავს. ფასს 17 წარმოადგენს ზოგად მოდელს, რომელსაც ახლავს:

- ისეთი ხელშეკრულებების სპეციფიკის გათვალისწინება, რომლებსაც აქვს პირდაპირი მონაწილეობის მახასიათებლები (ცვალებადი გასამრჯელოს მიდგომა)
- გამარტივებული მიდგომა (პრემიების განაწილების მიდგომა), ძირითადად, მოკლევადიანი ხელშეკრულებებისთვის

ფასს 17 ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის და სავალდებულოა შედარებადი რიცხობრივი მონაცემების წარმოდგენა. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენებაც, თუ საწარმო ასევე გამოიყენებს ფასს 9-სა და ფასს 15-ს, ფასს 17-ის პირველად გამოყენებამდე ან გამოყენების დღეს. ეს სტანდარტი გავლენა არ ახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები ბასს (IAS) 1-ში: ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

2020 წლის 1 იანვარს ბასსს-მ გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ის „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“ 69-76 მუხლებში, რომლებიც აკონკრეტებს ვალდებულებების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიცირების წესებს. ცვლილებები განმარტავს:

- რა იგულისხმება ანგარიშსწორების გადავადების უფლებაში
- რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს
- რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, გამოიყენებს თუ არა საწარმო გადავადების უფლებას
- რომ თუ კონვერტირებად ვალდებულებაში ჩართული წარმოებული ინსტრუმენტი თავად წარმოადგენს წილობრივ ინსტრუმენტს, მხოლოდ ამ შემთხვევაში არ იმოქმედებს ვალდებულების პირობები მის კლასიფიკაციაზე

ცვლილებები ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტულად. კომპანია ამ ეტაპზე აფასებს ცვლილებების ეფექტს მის მიმდინარე პრაქტიკაზე და იმას, არსებული სესხები საჭიროებს თუ არა რესტრუქტურიზაციას.

„კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში

2020 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა შესწორებები ფასს 3-ში „საწარმოთა გაერთიანება“ –„კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“. შესწორებების მიზანია „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლების“, რომელიც 1989 წელს გამოიცა, მითითების ჩანაცვლება 2018 წლის მარტში გამოშვებული „ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების“ მითითებით, მის მოთხოვნებში მნიშვნელოვანი ცვლილებების გარეშე.

საბჭომ ასევე დაამატა გამონაკლისი ფასს 3-ის აღიარების პრინციპიდან, რათა თავიდან აერიდებინა ვალდებულებებთან ან პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებული პოტენციური „მეორე დღის“

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

„კონცეპტუალური საფუძვლების მითითება“ – შესწორებები ფასს (IFRS) 3-ში (გაგრძელება)

შემოსულობის ან ზარალის საკითხი, რომელიც ცალ-ცალკე მოექცეოდა ბასს 37-ის ან ფასიკ 21-ის „მოსაკრებლები“ მოქმედების არეალში.

ამავდროულად, საბჭომ გადაწყვიტა განემარტა ფასს 3-ში არსებული მითითება პირობითი აქტივების შესახებ, რაზეც არ იმოქმედებდა „ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის საფუძვლების“ მითითების ჩანაცვლება. ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის და მათი გამოყენება უნდა მოხდეს პერსპექტიულად.

„წამგებიანი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯები“ – შესწორებები ბასს (IAS) 37-ში

2020 წლის მაისში ბასსს-მა გამოუშვა ცვლილებები ბასს 37-ში, რათა დაეკონკრეტებინა რომელი დანახარჯები უნდა გაითვალისწინოს საწარმომ იმის შეფასებისას, ხელშეკრულება წამგებიანია თუ ზარალიანი.

ცვლილება იყენებს „პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯის მიდგომას“. ის დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება საქონლის ან მომსახურების მიწოდების ხელშეკრულებას, მოიცავს როგორც ნაზარდ დანახარჯებს, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯების განაწილებას. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები პირდაპირ არ უკავშირდება ხელშეკრულებას და გამოირიცხება, თუკი ისინი აშკარად არ ეკისრება კონტრაჰენტს ხელშეკრულების თანახმად.

ცვლილებები ძალაშია 2022 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური საანგარიშგებო პერიოდებისთვის. კომპანია ამ ცვლილებებს გამოიყენებს იმ ხელშეკრულებებისთვის, რომელთა მიხედვით აღებული ყველა ვალდებულება ჯერ არ შეუსრულებია წლიური საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც იგი პირველად იყენებს ამ ცვლილებებს. შემდეგი ცვლილებები, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

- ძირითადი საშუალებები: შემოსავალი მიზნობრივ გამოყენებამდე – ცვლილებები ბასს 16-ში
- ფასს (IFRS) 1 „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება“ - შვილობილი საწარმო, როგორც საწარმო, რომელიც პირველად იყენებს ფასს-ს
- ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ - ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის „10 პროცენტის“ ტესტში მოყვანილი საკომისიოები
- ბასს (IAS) 41 - „სოფლის მეურნეობა“ - გადასახადით დაბეგვრა სამართლიანი ღირებულების შეფასებებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად საჭირო გახდა გარკვეული შეფასებების და დაშვებების გამოყენება. ეს შეფასებები და დაშვებები აისახება ანგარიშგების თარიღისთვის აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე პირობითი ვალდებულებების აღრიცხულ ოდენობაზე და ასევე გავლენას ახდენს პერიოდის გაცხადებულ შემოსავალზე და ხარჯებზე. მიუხედავად იმისა, რომ შეფასებები ეყრდნობა ხელმძღვანელობის ინფორმირებულობას და ანგარიშგების თარიღისთვის არსებული მოვლენების ანალიზს, ისინი შეიძლება ზუსტად არ ასახავდეს რეალობას. ქვემოთ განხილულია ანგარიშგების დღეს მომავლის შესახებ გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებების უზუსტობის სხვა ძირითადი მიზეზები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ პერიოდში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი კორექტივების შეტანის აუცილებლობა გამოიწვიოს.

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურება

ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული მომხმარებლების ანგარიშების ამოღება. თუ არსებობს ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესების ნიშნები, შესაბამისი მისაღები ანგარიშები გაუფასურებულად ჩაითვლება. ამგვარი გაუარესების ნიშნების დადგენის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

მთავარი კრიტერიუმია მომხმარებლების მიერ დავალიანების დაფარვის ხარისხი, რომელიც ფასდება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობით (ე.ი. რამდენი დღით დაგვიანდა გადახდა). მომხმარებლების მიერ მიმდინარე და ძველი დავალიანების დაფარვის შესაბამისი ანალიზის საფუძველზე კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. თუ ასეთი მტკიცებულება არსებობს, გამოიყენება სათანადო დარეზერვების განაკვეთი, რომელიც ასახავს დავალიანების დაფარვის კონკრეტულ კატეგორიასთან დაკავშირებულ საკრედიტო რისკს. თუ ასეთი მტკიცებულება არ არსებობს, შესაბამისი მისაღები ანგარიშები ფასდება კოლექტიურად, როგორც კარგი ხარისხის მქონე, მაღალი საკრედიტო ხარისხის მქონე მისაღებ ანგარიშებში, დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებისა და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე, რაც ფაქტობრივად გულისხმობს ვადაგადაცილებული დღეების არაარსებით ოდენობას.

კოლექტიურად შეფასების მიზნებისთვის, ხელმძღვანელობის განსჯით, ისტორიულ ტენდენციებზე დაყრდნობით შეიძლება ზარალის პროგნოზირება და ამ მეთოდის გამოყენება შეიძლება ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის ამოღებადი დავალიანების მოცულობის შესაფასებლად. კომპანია შეფასებების გადახედვას ახდენს თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს პროგნოზებისგან და კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე. ჯანდაცვიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურების რეზერვის ოდენობა 2020 წლის 31 დეკემბრისთვის 499 ლარი (2019 წ.: 409 ლარი) იყო. იხილეთ მე-6 შენიშვნა.

მიმდინარე მოგების გადასახადის აღიარება

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოითვლება საანგარიშგებო თარიღისთვის საქართველოს მოქმედი ან ფაქტობრივად ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის ძირითად ბიზნესსაქმიანობას აწარმოებს განაწილებული მოგების გადასახადის რეჟიმით, რაც ნიშნავს, რომ გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება გადასახადით 2017 წლიდან. შესაბამისი ნორმატიული ბაზა საქართველოში ცვალებადია და სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	*31 დეკემბერი, 2019 წ.*
მიმდინარე და მოთხოვნამდე ანგარიშები ბანკებში	164	62
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	13	19
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	**177**	**81**

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაჰენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები - მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

6. ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები

	31 დეკემბერი, 2020 წ.	*31 დეკემბერი, 2019 წ.*
სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშები	191	299
ფიზიკური პირებისგან და სხვა მისაღები ანგარიშები	2,861	2,476
სადაზღვევო კომპანიებისგან მისაღები ანგარიშები	499	130
	3,551	**2,905**
გამოკლებული - გაუფასურების რეზერვი	(499)	(409)
სულ ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები, წმინდა	**3,052**	**2,496**

ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებებს 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების მოძრაობა ასეთია:

	ავეჯი და მოწყობილობები	*კომპიუტე-რები*	*სამედიცინო აღჭურვილობა*	*ავტოსატრანს-პორტო საშუალებები*	*იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესება*	*სულ*
თვითღირებულება						
31 დეკემბერი, 2019 წ.	**539**	**42**	**874**	**2,006**	**21**	**3,482**
შემოსვლები	-	-	52	22	-	74
31 დეკემბერი, 2020 წ.	**539**	**42**	**926**	**2,028**	**21**	**3,556**
დაგროვილი ცვეთა						
31 დეკემბერი, 2019 წ.	**120**	**9**	**112**	**1,019**	**2**	**1,262**
ცვეთის დანარიცხი	22	6	68	301	1	398
31 დეკემბერი, 2020 წ.	**142**	**15**	**180**	**1,320**	**3**	**1,660**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი, 2019 წ.	**419**	**33**	**762**	**987**	**19**	**2,220**
31 დეკემბერი, 2020 წ.	**397**	**27**	**746**	**708**	**18**	**1,896**

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

8. კრედიტორული დავალიანება

	31 დეკემბერი, 2020 წ.	*31 დეკემბერი, 2019 წ.*
ჯანდაცვის მასალებისა და მარაგებისთვის გადასახდელი თანხები	1,194	1,157
ძირითადი საშუალებებისა და საოფისე მარაგების შესაძენად გადასახდელი თანხები	426	943
სხვა კრედიტორული დავალიანება	127	16
კრედიტორული დავალიანება, სულ	**1,747**	**2,116**

9. ნასესხები სახსრები

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ წელს, ნასესხები სახსრების საბალნსო ღირებულება 1,164 ლარს შეადგენდა(2019 წ. 31 დეკემბერი: 1,122 ლარი). ნასესხები სახსრების საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი 14% იყო, ხოლო ვადა - საშუალოდ 1,478 დღე. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას არ გააჩნდა გამოუყენებელი სასესხო ვალდებულება.

10. პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიისა და კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

გადასახადები

საკმაოდ ხშირად ხდება საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის არაერთგვაროვანი განმარტება და ცვლილება. შესაბამის საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ ეჭვქვეშ დააყენონ ხელმძღვანელობის მხრიდან კანონმდებლობის ამგვარი ინტერპრეტაციები კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებაში. საქართველოში ბოლო დროს განვითარებული მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში საგადასახადო ორგანოებს სულ უფრო მკაცრი პოზიცია უჭირავთ და ამის გამო შეიძლება ის ოპერაციები და საქმიანობა, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა, ახლა სადავო გახდეს. ამის გამო კომპანიას შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. პრაქტიკული არ იქნება შესაძლო დაუზუსტებელი ზარალის ოდენობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან მათი უარყოფითი შედეგების ალბათობის განსაზღვრა. საგადასახადო ორგანოები უფლებამოსილნი არიან შეამოწმონ შემოწმების პერიოდის წინა ხუთი კალენდარული წლის მომცველი პერიოდი. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისებური განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები დარჩება უცვლელად.

პირობითი ფინანსური ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2020	*31 დეკემბერი 2019*
ვალდებულებები საოპერაციო იჯარიდან		
- იჯარა, რომლის ვადაც იწურება მაქსიმუმ 1 წელიწადში	150	137
- იჯარა, რომლის ვადაც იწურება მინიმუმ 1 და მაქსიმუმ 5 წელიწადში	600	548
სულ პირობითი ფინანსური ვალდებულებები	**750**	**685**

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 18 ლარს (2019 წ. 31 დეკემბერი: 18ლარი).

12. შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან

	2020	*2019*
სახელმწიფოსგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	3,127	2,648
თანაგადახდის და სხვ. შედეგად მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	3,017	3,262
სადაზღვევო კომპანიებისგან მიღებული შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	280	314
სულ შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	**6,424**	**6,224**

13. ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება

	2020	*2019*
ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის ხარჯი	(2,832)	(3,060)
ნედლეულისა და მასალების თვითღირებულება	(231)	(70)
კომუნალური და სხვ. ხარჯი	(975)	(1,039)
მომსახურების მომწოდებლების დანახარჯი	(151)	(477)
სულ ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	**(4,189)**	**(4,646)**

კომუნალურ და სხვა ხარჯებში შედის ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, დასუფთავების, წყალმომარაგების, საწვავის, სამედიცინო აპარატურის სარემონტო სამუშაოებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯები. 2020 წელს არაპირდაპირი ხელფასები, რომლებიც არ იყო გათვალისწინებული ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულებაში, 179 ლარს შეადგენდა (2019 წ. 31 დეკემბერი: 92 ლარი) და წარმოდგენილი იყო ცალკე მუხლად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯად აღიარებული ხელფასებისა და თანამშრომელთა სხვა სარგებლის მთლიანმა თანხამ შეადგინა 3,011 ლარი (2019 წ. 31 დეკემბერი: 3,152 ლარი).

14. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2020	*2019*
ხელფასები და სხვა სარგებელი	(179)	(53)
პრემიები ფულადი სახით	-	(39)
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	**(179)**	**(92)**

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

15. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	2020	*2019*
იჯარის ხარჯი	(142)	(128)
დაზღვევის ხარჯი	(59)	(69)
საოფისე მარაგები	(55)	(33)
საკომუნიკაციო ხარჯები	(32)	(35)
მგზავრობის ხარჯები	(2)	(18)
ბანკებისთვის გადახდილი გასამრჯელო და საკომისიო	(2)	(4)
დაცვა-უსაფრთხოება	(1)	(1)
პროფესიული მომსახურება	-	(6)
წარმომადგენლობითი ხარჯები	-	(2)
მარკეტინგი და რეკლამა	-	(2)
სხვა	(34)	(30)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები, სულ	**(327)**	**(328)**

16. კაპიტალის მართვა

მართული კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, დამატებით შეტანილი კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი, გადაფასებული და სხვა რეზერვებისგან და არასაკონტროლო პაკეტებისგან. კომპანიას განსაზღვრული აქვს კაპიტალის მართვის შემდეგი მიზნები, პრინციპები და იმ რისკების მართვის მეთოდები, რომლებიც მისი კაპიტალის მდგომარეობაზე მოქმედებს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელების მოთხოვნების დაკმაყოფილება.

17. რისკის მართვა

შესავალი

კომპანიის საქმიანობისთვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი, და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით, რისკების ლიმიტებისა და კონტროლის სხვა მექანიზმების მეშვეობით. რისკის მართვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის რენტაბელურობისათვის და კომპანიის თითოეული თანამშრომელი პასუხისმგებელია რისკების გამომჟღავნებასა და აღმოჩენაზე თავისი საქმიანობის ფარგლებში. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო რისკები. მისთვის ასევე დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

რისკების კონტროლის დამოუკიდებელი პროცესი არ მოიცავს ისეთ ბიზნეს რისკებს, როგორებიცაა გარემო პირობების, ტექნოლოგიების და ინდუსტრიის ცვლილებების რისკები. მათი კონტროლი ხდება კომპანიისა და მშობელი კომპანიის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესით.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკების მართვის სტრუქტურა

დირექტორთა საბჭო

2020 წელს, სს“საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს პასუხისმგებლობა იყო სს „ემერჯენსის სერვისის“ შესაბამისი კომპონენტების მთლიანი რისკის პროცესის რეგულარული ზედამხედველობა და მართვა მოვალეობების გადანაწილებით, სხვადასხვა აღმასრულებელი კომიტეტების შექმნით, რისკის მართვის პოლიტიკისა და პროცედურების, ასევე შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებების შემუშავებითა და დანერგვით, შესაბამისი დეპარტამენტებისა და კომიტეტების მიერ მათი განხორციელებისა და საქმიანობის შედეგების შეფასებით.

შიდა აუდიტი

2020 წელს, კომპანიის მასშტაბით რისკების მართვის პროცესებს ყოველწლიურად ამოწმებდა შიდა აუდიტის განყოფილება, რომელიც აფასებდა როგორც პროცედურების ადეკვატურობას, ისე კომპანიის მიერ ამ პროცედურების დაცვას. შიდა აუდიტი განიხილავს შეფასებების შედეგებს ხელმძღვანელობასთან და მოახსენებს შედეგებსა და რეკომენდაციებს სამეთვალყურეო საბჭოს აუდიტის კომიტეტის მეშვეობით.

რისკის შეფასებისა და ანგარიშგების სისტემა

კომპანიის რისკები ფასდება ისეთი მეთოდით, რომელიც განიხილავს როგორც ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში მოსალოდნელ დანაკარგს, ისე გაუთვალისწინებელ დანაკარგებს, რომელიც წარმოადგენს პროგნოზირების სხვადასხვა მოდელის საფუძველზე ნავარაუდევ რეალურ ზარალს. მეთოდი ალბათობებს იყენებს ისტორიულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომლებიც დაკორექტირებულია ეკონომიკური გარემოს გასათვალისწინებლად. კომპანია სამ სხვადასხვა ძირითად სცენარს განიხილავს, საიდანაც ერთი არის საბაზო სცენარი (ანუ პროგნოზი ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში), ხოლო დანარჩენი ორი არის პრობლემური და კრიზისული სცენარები, რომლებიც შესაბამისად წარმოადგენენ უფრო ცუდ და ყველაზე ცუდ შემთხვევებს და უკიდურესი და ნაკლებად სავარაუდო მოვლენების დადგომისას არის მოსალოდნელი.

რისკების მონიტორინგი და კონტროლი უმთავრესად ხორციელდება კომპანიის მიერ დადგენილ ლიმიტებზე დაყრდნობით. ეს ლიმიტები ასახავს კომპანიის ბიზნეს სტრატეგიას, საბაზრო გარემოს და მისთვის მისაღებ რისკის დონეს, ამავდროულად განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება შერჩეულ დარგებზე. გარდა ამისა, კომპანია მონიტორინგს უწევს და აფასებს რისკის დასაშვებ დონეს რისკის ყველა

ტიპისა და ღონისძიების გათვალისწინებით. ყველა საქმიანობიდან მიღებული ინფორმაცია მოწმდება და მუშავდება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ადრეული რისკების განსაზღვრა, ანალიზი და კონტროლი. ამ ინფორმაციის წარდგენა და განმარტება ხდება მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭოსთვის და თითოეული ბიზნეს განყოფილების ხელმძღვანელისთვის. ანგარიშები ასახავს აგრეგირებულ დაუფარავ დებიტორულ ანგარიშებსა და კრედიტებს, მათ ლიმიტებს, ამ ლიმიტებიდან გამონაკლისებს, ლიკვიდურობის კოეფიციენტებსა და ლიკვიდურობის ლიმიტებს, საბაზრო რისკის კოეფიციენტებს და მათ ლიმიტებს და ცვლილებებს რისკის პროფილში.

მშობელი კომპანიის წამყვანი ხელმძღვანელობა ყოველთვიურად აფასებს ლიკვიდურობის დონეების, საკრედიტო პოზიციების, დებიტორული ანგარიშების პოზიციებისა და გაუფასურების რეზერვის მართებულობას. მშობელი კომპანიის დირექტორთა საბჭო თვეში ერთხელ იღებს რისკის ამომწურავ ანგარიშს. ამ ანგარიშებში კომპანიის რისკების შეფასებისა და მათზე დასკვნების გამოტანისთვის საჭირო სრული ინფორმაციაა წარმოდგენილი.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

რისკის შემცირება

ჯანდაცვის მომსახურების მიმღები ფიზიკური პირების მიმართ კომპანია აქტიურად იყენებს ერთობლივი ფინანსური პასუხისმგებლობის მიდგომას, რომელიც წარმოიშობა ჯანდაცვის მომსახურების გაწევისას ისეთი ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც თავად იხდიან მომსახურების ღირებულებას. ამ მიდგომის მიზანია საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებს გარეთ გაწეული ჯანდაცვის მომსახურების მიმღები შესაბამისი დებიტორების მართვა.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი, თუ მისმა კლიენტებმა ან მონაწილე მხარეებმა ვერ შეძლეს საკონტრაქტო ვალდებულებების შესრულება. კომპანია საკრედიტო რისკს მართავს და აკონტროლებს რისკის მოცულობაზე მისთვის მისაღები ლიმიტის დაწესებით ცალკეული კონტრაჰენტების, ასევე პროდუქტებისა და ვალუტების კონცენტრაციებისთვის, და რისკების ამ ლიმიტებთან დაცვის მონიტორინგით. გარდა ამისა, კომპანია აწესებს და რეგულარულად აკონტორლებს კრედიტის ვადებს დებიტორების ტიპების მიხედვით, რაც საკრედიტო რისკის მართვის პროაქტიული ხერხია.

კომპანიამ შეიმუშავა საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი, რომ უზრუნველყოს კონტრაჰენტების კრედიტუნარიანობაში სავარაუდო ცვლილებების ადრეული გამოვლენა. ეს მოიცავს სესხის დაფარვისა და მისაღები დავალიანების ვადების სისტემატურ ანალიზს. კონტრაჰენტის ლიმიტების დადგენა ხდება კრედიტის პირობებთან ერთად.

საკრედიტო რეიტინგის გადახედვის პროცესი კომპანიას საშუალებას აძლევს შეაფასოს რისკებით გამოწვეული პოტენციური ზარალი და მიიღოს მაკორექტირებელი ზომები.

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ფინანსური აქტივების საკრედიტო რეიტინგი კომპანიის მიერ იმართება ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის მიხედვით. ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სხვადასხვა კლასის აქტივების საკრედიტო ხარისხი.

31 დეკემბერი, 2020 წ.	*შენიშ-ვნები*	*არც ვადაგადაცილე-ბული და არც გაუფასურებული*	*ვადაგადაცილე-ბული, მაგრამ არა გაუფასურებული*	*გაუფასურებული*	*სულ*
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	6	3,052	–	499	3,551
სულ		**3,052**	**-**	**499**	**3,551**

31 დეკემბერი, 2019 წ.	*შენიშ-ვნები*	*არც ვადაგადაცილე-ბული და არც გაუფასურებული*	*ვადაგადაცილე-ბული, მაგრამ არა გაუფასურებული*	*გაუფასურებული*	*სულ*
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	6	2,496	–	409	2,905
სულ		**2,496**	**-**	**409**	**2,905**

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

კატეგორია „ვადაგადაცილებული, მაგრამ არა გაუფასურებული“ მოიცავს მისაღებ ანგარიშებსა და ფინანსურ აქტივებს, რომლებიც ვადაგადაცილებულია მაქსიმუმ 30 დღით ან ვადაგადაცილებულია 30 დღეზე მეტი ხნით, მაგრამ არ არის გაუფასურებული ობიექტური მიზეზების გამო.სხვა შემთხვევაში, ის მისაღები ანგარიშები და ფინანსური აქტივები, რომლებიც გავადაგაცილებულია 30 დღეზე მეტი ხნით, გაუფასურებულად ითვლება. გაუფასურებული სესხების შესაფასებლად კომპანია არ იყენებს საკრედიტო რეიტინგის სისტემას. შესაბამისად, გაუფასურების ხარჯები და რეზერვი ეყრდნობა ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობას და წარსულ გამოცდილებას ვადაგადაცილებების თითოეული კატეგორიის მიხედვით.

ლიკვიდურობია რისკისა და დაფინანსების მართვა

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავისი კაპიტალის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდურობის საჭიროების ყოველდღიურ მონიტორინგს. კომპანია მართავს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას მათი უკეთესად დაბალანსებისთვის, რაც მას ეხმარება ლიკვიდურობის რისკის კიდევ უფრო შემცირებაში. კომპანიის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკები არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება მომწოდებლებთან გაფორმებული კონტრაქტების და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადის მოსვლის გამო.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი. აქტივები და ვალდებულებები დაჯგუფებულია ვადიანობის მიხედვით, ანგარიშგების დღისთვის ხელშეკრულების ამოწურვის ან დაფარვის მოსალოდნელ თარიღამდე დარჩენილი ვადის შესაბამისად.

31 დეკემბერი, 2020 წ.	*ერთ წელზე ნაკლები*	*ერთ წელზე მეტი*	*სულ*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	177	–	177
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	3,052	–	3,052
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	86	–	86
გადახდილი ავანსები	65	-	65
ძირითადი საშუალებები	-	1,896	1,896
არამატერიალური აქტივები	-	2	2
სხვა აქტივები	-	23	23
სულ აქტივები	**3,380**	**1,921**	**5,301**
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	88	-	88
კრედიტორული დავალიანება	1,747	-	1,747
ნასესხები სახსრები	109	1,055	1,164
სხვა ვალდებულებები	217	-	217
სულ ვალდებულებები	**2,161**	**1,055**	**3,216**
ნეტო პოზიცია	**1,219**	**866**	**2,085**
აკუმულირებული გეპი	**1,219**	**2,085**	

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის რისკისა და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2019 წ.	*ერთ წელზე ნაკლები*	*ერთ წელზე მეტი*	*სულ*
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	81	–	81
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	2,496	–	2,496
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	59	–	59
გადახდილი ავანსები	320	-	320
ძირითადი საშუალებები	-	2,220	2,220
არამატერიალური აქტივები	-	2	2
სხვა აქტივები	-	43	43
სულ აქტივები	**2,956**	**2,265**	**5,221**
ვალდებულებები			
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	143	-	143
კრედიტორული დავალიანება	2,116	-	2,116
ნასესხები სახსრები	76	1,046	1,122
სხვა ვალდებულებები	222	-	222
სულ ვალდებულებები	**2,557**	**1,046**	**3,603**
ნეტო პოზიცია	**399**	**1,219**	**1,618**
აკუმულირებული გეპი	**399**	**1,618**	

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ლიკვიდურობის არსებული დონე საკმარისია ყველა მისი მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად და დავალიანების დროულად დასაფარად. კომპანია ასევე აბალანსებს ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ვადებს და უარყოფით გეპებზე მაქსიმალურ ლიმიტს აწესებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებების მიხედვით. დაფარვები, რომლებიც ექვემდებარება შეტყობინებას, აღრიცხულია იმგვარად, თითქოს შეტყობინება დაუყოვნებლივ მოხდა.

31 დეკემბერი, 2020 წ.	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*სულ*
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	88	-	-	88
ნასესხები სახსრები	146	111	1,646	1,903
კრედიტორული დავალიანება	1,747	-	-	1,747
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**1,981**	**111**	**1,646**	**3,738**

31 დეკემბერი, 2019 წ.	*3 თვეზე ნაკლები*	*3-დან 12 თვემდე*	*1-დან 5 წლამდე*	*სულ*
თანამშრომლების კომპენსაციის დანარიცხები	143	–	–	143
ნასესხები სახსრები	113	110	1,632	1,855
კრედიტორული დავალიანება	2,116	-	-	2,116
სულ არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები	**2,372**	**110**	**1,632**	**4,113**

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

17. რისკის მართვა (გაგრძელება)

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვლილების რისკი საბაზრო ფაქტორების, მაგალითად საპროცენტო განაკვეთებისა და უცხოური ვალუტის კურსების მერყეობის შედეგად. კომპანიას აქვს საბაზრო რისკები. კომპანია მისთვის მისაღები საბაზრო რისკის დონეების სტრუქტურირებას ახდენს კომპანიის საბაზრო რისკის პოლიტიკის მიხედვით, რომელიც განსაზღვრავს იმას, თუ რა წარმოადგენს კომპანიისთვის საბაზრო რისკს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის საპროცენტო განაკვეთის რისკი არაარსებითი იყო.

სავალუტო რისკი

კომპანიის გარიგებები სრულად ლარში ხორციელდება და შესაბამისად სავალუტო რისკი არ გააჩნია.

საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია ვერ აღმოფხვრის ყველა საოპერაციო რისკს, თუმცა კონტროლის სისტემის მეშვეობით და პოტენციური რისკების მონიტორინგით და მათზე რეაგირებით, კომპანია ახერხებს რისკების ეფექტურ მართვას. კონტროლი გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, შეღწევადობის, ავტორიზაციისა და გადასინჯვის პროცედურებს, თანამშრომლების სპეციალიზირებასა და შიდა აუდიტს.

საოპერაციო გარემო

კომპანიის საქმიანობა კონცენტრირებულია საქართველოში. რადგანაც ქვეყანა ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში მყოფი ბაზარია, მას არა აქვს კარგად განვითარებული ბიზნესის ინფრასტრუქტურა და ნორმატიული ბაზა, რაც უფრო განვითარებულ საბაზრო ეკონომიკებს ახასიათებთ. საქართველოში საქმიანობა დაკავშირებულია ისეთ რისკებთან, რომლებიც, როგორც წესი, არ არსებობს განვითარებულ ბაზრებზე (იმ რისკის ჩათვლით, რომ ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას ქვეყნის გარეთ, ასევე მხედველობაშია მისაღები განუვითარებელი სასესხო და კაპიტალის ბაზრები).

თუმცა, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, საქართველოს მთავრობამ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა საბანკო, იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სისტემების ჩამოყალიბებისათვის საჭირო რეფორმებთან მიმართებაში, რაც ზოგადად პოზიტიურ გავლენას ახდენს საინვესტიციო კლიმატზე. მათ შორისაა ახალი კანონმდებლობის მიღება (ახალი საგადასახადო კოდექსისა და პროცესუალური კანონების ჩათვლით). დირექტორთა საბჭოს აზრით, აღნიშნული ნაბიჯები ამცირებს ბიზნეს რისკებს საქართველოში.

აღნიშნული ტენდენცია მიზნად ისახავს არსებული ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას. ქართული ეკონომიკის მომავალი მდგრადობა ბევრადაა დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულადი-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ამის მიუხედავად, საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას ახდენს მსოფლიო კრიზისი და ეკონომიკური განვითარების ტემპის შენელება.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების იერარქია

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების მიხედვით. კომპანია შემდეგ იერარქიას იყენებს სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისა და აღრიცხვისთვის:

- დონე 1: ანალოგიური აქტივებისა და ვალდებულებების კოტირებული (არაკორექტირებული) ფასები მოქმედ ბაზარზე;
- დონე 2: მეთოდი, რომლისთვისაც გამოყენებული ყველა ამოსავალი მონაცემი, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე, არის პირდაპირ ან არაპირდაპირ განსაზღვრადი;
- დონე 3: მეთოდი, რომლის დროსაც გამოიყენება ამოსავალი მონაცემები, რომლებსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ აღრიცხულ სამართლიან ღირებულებაზე და არ ეყრდნობიან საბაზრო მონაცემებს.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია იმ აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი, რომლებიც სამართლიანი ღირებულებითაა შეფასებული ან რომელთა სამართლიანი ღირებულებებიც მოცემულია სამართლიანი ღირებულებების იერარქიაში მათი დონის მიხედვით. მასში ასევე შესულია კომპანიის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც აღირიცხება ფინანსურ ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და არაფინანსური ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს:

31 დეკემბერი, 2020 წ.	*დონე 1*	*დონე 2*	*დონე 3*	*სულ სამართლიანი ღირებულება*	*საბალანსო ღირებულება*	*აუღიარებელი მოგება (ზარალი)*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	–	177	–	**177**	177	–
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	–	–	3,052	**3,052**	3,052	–
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	–	–	1,150	**1,150**	1,164	14

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

18. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)

31 დეკემბერი, 2019 წ.	*დონე 1*	*დონე 2*	*დონე 3*	*სულ სამართლიანი ღირებულება*	*საბალანსო ღირებულება*	*აუღიარებელი მოგება (ზარალი)*
სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები						
აქტივები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	–	81	–	**81**	81	–
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	–	–	2,496	**2,496**	2,496	–
ვალდებულებები, რომელთა სამართლიან ღირებულებაზეც განმარტებითი შენიშვნებია წარმოდგენილი						
ნასესხები სახსრები	–	–	1,209	**1,209**	1,122	(87)

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

მიიჩნევა, რომ იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), აგრეთვე სახელმწიფოს მიმართ ყველა მოკლევადიანი მისაღები ანგარიშის საბალანსო ღირებულება უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას. ეს დაშვება ეხება ცვლადი განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებსაც.

ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური ინსტრუმენტები

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფიქსირებული განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება დგინდება იდენტურ ფინანსურ ინსტრუმენტებზე პირველადი აღიარების დროს დაფიქსირებულ საბაზრო საპროცენტო განაკვეთებისა და მიმდინარე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შედარების შედეგად. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე დეპოზიტების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების ანალიზის მიხედვით, ფულის ბაზრის არსებული საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც დამახასიათებელია მსგავსი საკრედიტო რისკისა და ვადიანობის სესხებისათვის.

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

19. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის *„დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“* მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე კომპანიის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთ არის იდენტიფიცირებული, განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით. დაკავშირებულ მხარეთა შორის დადებული გარიგებების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

	31 დეკემბერი, 20120 წ.		*31 დეკემბერი, 2019 წ.*	
	*მშობელი კომპანია**	*საერთო კონტროლს დაქვემდეგა-რებული საწარმოები***	*მშობელი კომპანია**	*საერთო კონტროლს დაქვემდეგა-რებული საწარმოები***
აქტივები				
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	303	789	–	632
	303	**789**	–	**632**
ვალდებულებები				
კრედიტორული დავალიანება	1,051	116	858	281
ნასესხები სახსრები	1,164	–	1,122	–
	2,215	**116**	**1,980**	**281**

	2020		*2019*	
	*მშობელი კომპანია**	*საერთო კონტროლს დაქვემდეგა-რებული საწარმოები***	*მშობელი კომპანია**	*საერთო კონტროლს დაქვემდეგა-რებული საწარმოები***
შემოსავალი და ხარჯები				
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	986	642	1,130	709
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(104)	(9)	(100)	(8)
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(1)	(41)	(847)	(485)
საპროცენტო ხარჯი	(109)	–	–	–
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების გაუფასურება	–	(5)	–	–
სხვა არარეგულარული ხარჯი	–	(8)	(76)	–
	772	**579**	**107**	**216**

* 2020 წლისა 31 დეკემბრის და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამავე თარიღით დასრულებული წლებისთვის, მშობელი კომპანია მოიცავს სს „ევექსის ჰოსპიტლების“ ფინანსურ მონაცემებს.

** საერთო კონტროლს დაქვემდებარებული პირები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საჯარო კომპანია „საქართველოს კაპიტალის“ შვილობილი კომპანიები.

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება ასე გამოიყურება:

	2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	*2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*
ხელფასები და ნაღდი ფულით გაცემული პრემიები	47	45
სულ ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება	**47**	**45**

5-31 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.